



IX კლასი


1. რა ჰორიზონტალური სიჩქარე უნდა მივანიჭოთ 5 მ სიგრძის ძაფზე დაკიდებულ ბურთულას, რომ ის საკიდის სიმაღლემდე გადაიხაროს. ჰაერის წინააღმდეგობის ძალას ნუ გაითვალისწინებთ. $g = 10 \text{ მ/წმ}^2$.
2. რა მინიმალური სიმაღლიდან უნდა მივანიჭოთ 2 მ/წმ სიჩქარე მცირე ზომის ძელაკს, რომ 1 მ რადიუსის მქონე „მკვდარი მარყუჟის“ შემოწერისას იგი ღარს არ მოწყდეს. (ხახუნის და წინააღმდეგობის ძალებს ნუ გაითვალისწინებთ.) $g = 10 \text{ მ/წმ}^2$.
3. ჰორიზონტალურ იატაკზე მოთავსებულ 20 კგ მასის უძრავ ხის ძელს მოსდეს ჰორიზონტისადმი 60° -იანი კუთხით მიმართული 200 ნ ძალა. განსაზღვრეთ ძელის მიერ 40 მ მანძილის გავლისას შეძენილი კინეტიკური ენერჯია. თუ მის ზედაპირთან ხახუნის კოეფიციენტი 0.2. $g = 10 \text{ მ/წმ}^2$.
4. 200 კგ მასისა და 2 მეტრი სიგრძის უძრავი ტივის ერთი ბოლოდან მეორეში გადავიდა 50 კგ მასის ადამიანი. რამდენით გადაინაცვლა ტივი წყლის მიმართ? წინააღმდეგობის ძალები არ გაითვალისწინოთ.
5. 20 ტ მასის უძრავი გემიდან ჰორიზონტისადმი 45° -იანი კუთხითა და დედამიწის მიმართ 100 მ/წმ სიჩქარით გაისროლეს 60 კგ მასის ჭურვი. ჰორიზონტალური მიმართულების რა სიჩქარეს შეიძენს გემი ჭურვის გასროლის შედეგად.
6. გლუვ ჰორიზონტალურ ზედაპირზე მოთავსებულ 1 კგ მასის ძელს 1000 მ/წმ სიჩქარით მოხვდა და მეორე მხარეს 400 მ/წმ სიჩქარით გამოვიდა 40 გ მასის ტყვია. განსაზღვრეთ ძელში ტყვიის მოძრაობისას გამოყოფილი სითბური ენერჯია.
7. $l=1$ მეტრი სიგრძისა და 90 კგ მასის ერთგვაროვანი ძელი გაწონასწორებულია ორ სადგამზე, ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. რა მინიმალური ძალაა საჭირო, რომ ძელაკი ავწიოთ ჯერ ერთი, მერე მეორე ბოლოდან. თუ $d_1=10$ სმ $d_2=20$ სმ. $g = 10 \text{ მ/წმ}^2$.
8. ნახაზზე გამოსახული სისტემა წონასწორობაშია. იპოვეთ m_2 . თუ $m_1= 20$ კგ-ს. ჭოჭონაქისა და თოკის მასებს ნუ გაითვალისწინებთ. $g = 10 \text{ მ/წმ}^2$.




ნახ.1



ნახ.2



ნახ.3



ნახ.4